

„მიყვირი ნიჭს გზა თქვითო!“

ასპინძის საჯარო სკოლიდან — დენვილის უნივერსიტეტში

დაბა ასპინძაში ცხოვრობს ერთი ახალგაზრდა, თითქოს სხვებისაგან არაფრით გამორჩეული, მაგრამ მთელმა საქართველომ გაიცნო იგი.

ჯერ კიდევ სკოლის მერსს უჯდა რატი ზედგინიძე, როცა უკვე სტუდენტი გახდა. სტუდენტიც არის და სტუდენტიც, — იგი ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ, ვირჯინიის შტატის ქალაქ დენვილის AVERETT-ის საავიაციო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. უნივერსიტეტის მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით, რატი ზედგინიძე, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგების მქონე მომავალი სტუდენტი, 20.000 ამერიკული დოლარით დაფინანსდა, რაც ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში 80 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ასე რომ, რატის სწავლა სრულად დაფინანსდა.

ყველაფერი კი ისე დაიწყო, როგორც ზღაპარშია... იყო ერთი პატარა ბიჭი და თავისუფალ დროს ქალაქის თვითმფრინავებს აკეთებდა და ჰაერში უშვებდა, თან მფრინავობაზე ოცნებობდა. ასპინძელი კაცისთვის ეს მართლაც ოცნება იყო. ხშირად ცაში აყოლებდა თვალს თვითმფრინავის ნაკვალევს და თვითონაც შორეული ეკიპაჟის წევრი ხდებოდა.

გაიზარდა პატარა ბიჭი და როდესაც პროფესიის არჩევანზე მიდგა ჯერი, მას უკვე მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, რომ მფრინავი გამხდარიყო და აი, ერთხელაც, ინტერნეტში მოიძია ცნობა AVERETT-ის უნივერსიტეტის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა დიდი სირთულეების წინაშე: უნდა სცოდნოდა ინგლისური ენა და წარჩინებული მოსწავლე ყოფილიყო. მაშინ იგი მე-11 კლასში სწავლობდა. მოინდომა რატიმაც და მე-11-მე-12 კლასი წარჩინებით დაამთავრა; დაუჯერებელია, მაგრამ ათ თვეში შე-

სანიშნავად დაეუფლა ინგლისურ ენასაც. ყველა გააოცა რატის მონდომებამ. გაიარა ტესტირება... მრავალი სხვადასხვა ეტაპი და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, AVERETT-ის უნივერსიტეტიდან წერილი მიიღო:

„ძვირფასო რატი, გილოცავთ! ჩვენ გინვეთ თქვენ, რათა შემოუერთდეთ ჩვენს აკადემიურ საზოგადოებას. მოხარული ვართ შემოგთავაზოთ ჩარიცხვა AVERETT-ის უნივერსიტეტში. კეთილი იყოს თქვენი ფეხი AVERETT-ის სასწავლო კურსებზე.

სიამაყით გვინდა გაცნობოთ, რომ AVERETT-ის უნივერსიტეტის სასტიპენდიო კომიტეტის კარგ რეკომენდაციასთან ერთად თქვენ დაჯილდოვდით პრეზიდენტის სტიპენდიით, რომელსაც 2017-2018 წლებში მიიღებთ თქვენი აკადემიური მიღწევებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად — 20 000 დოლარს, ოთხი წლის განმავლობაში...

AVERETT-ის უნივერსიტეტში შთამბეჭდავი რამ ხდება და ჩვენ გვინდა, რომ იყოთ ჩვენი მუდმივად განვითარებადი საზოგადოების წევრი. იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ ფეხს შემოდგამთ კამპუსში, მაშინვე აღმოაჩენთ, თუ როგორ ძლიერი სტუდენტური ცხოვრება გვაქვს და ნახავთ, როგორ იღებს უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას თქვენი წარმატებაზე — სწავლების დაწყებიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე და შემდეგაც...

რატი, გილოცავთ სტუდენტობას. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება AVERETT-ის უნივერსიტეტში.

ჯოელ ნესტიარი“

რატის სიხარული ყველამ გავიზიარეთ, — მისმა თანაკლასელებმა, ყოფილმა პედაგოგებმა, განსაკუთრებით

— კლასის ხელმძღვანელმა ნინო სახვაძე-ლოლაძემ; სკოლის დირექტორმა კლარა ზედგინიძემ ჩვენთან საუბარში კი სიამაყით განაცხადა: რატი ზედგინიძე უნიჭიერესი მოსწავლე იყო და დარწმუნებული ვართ, რომ იქაც უთუოდ გვასახლებს.

რატის დედა, ნათია მელიქიძე, ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგია, სევდანარევი სიხარული ჩასდგომია მას თვალეში, რადგან დედისათვის მაინც ძნელია შვილის ასე შორს გაგზავნა.

რატის წარმატება არა მარტო ჩვენ, ასპინძელებს, სკოლის მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, არამედ საქართველოს ეკუთვნის.

ჩვენ ისღა დავგრჩენია, გზა დავულოცოთ და ვუსურვოთ წარმატებული მფრინავი დაბრუნებულეს თავის სამშობლოს.

როზა წარიმანიძე

რედაქციისაბანო:

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავს რატი ზედგინიძეს იმ დიდ წარმატებას, რომელიც მან თავისი დაუღალავი, ბეჯითი სწავლით მიაღწია. მისი ესოდენ პრესტიჟული უნივერსიტეტში ჩარიცხვა და გარანტირებული სტიპენდიის მოპოვება კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ კარგი სწავლა უსათუოდ ფასდება, რომ მხოლოდ ცოდნით მოიპოვება წარმატება. ქვეყანას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები განსაკუთრებით ახალჭირდება, რათა დამოუკიდებლმა საქართველომ, წარმოების ყველა სფეროში, მიაღწიოს წარმატებებს.

არავინ იცის, როგორ წარიმართება რატი ზედგინიძის მომავალი ცხოვრება, მაგრამ იმისა კი უსათუოდ გვჯერა,



რომ იგი, როგორც პრინციპული, მიზნის მიღწევისათვის მებრძოლი ახალგაზრდა, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაამართლოს ის დიდი ნდობა, რომელიც მას გამოუცხადეს. ასპინძელებს კი მართლაც გვაქვს საამაყო, რომ ჩვენი მინაწლის შვილი ამერიკის ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას. მსგავსი პატივი ერთეულთა ხვედრია და რატიც სწორედ ამით განსხვავდება დანაწინისაგან... და თუ მომავალში მასავით სხვებსაც გაუღიმებს ბედი და რატის კვალს გაჰყვებიან, ასპინძელთა ცხოვრებაში კიდევ მრავალი სასახლო ფურცელი ჩაინერება.

ამ დღეებში დატოვებს მშობლიურ რაიონს რატი ზედგინიძე. კეთილ მგზავრობას და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

ბრძენ კაცს უთქვამს: „მესხი სწავლითა ქებულიო...“ და, კიდევ უფრო წარჩინებული სწავლით გესახელებინოს ჩვენო რატი შენი მშობლიური ასპინძა და სრულიად საქართველო!

მაღლობა

ბოლო წლებში, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების შედეგად, საერთოობრივად დაზიანებული იყო მ.ჯავახიშვილის ქუჩა. ზამთარში თოვლ-ჭყაპის, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულობით, წვიმიანი ამინდების დროს, აქ გავლას შეუძლებელი იყო როგორც ავტორანსპორტისთვის, ასევე ფეხით მოსიარულეებისთვისაც და, ჩვენ, ამ ქუჩის მოზიანდრეებსაც და გამკლავ-გამომკვლეებსაც, აუტანელ პირობებში გვიხდებოდა ყოველდღიურად



ჩვენს ქუჩაზეც გამოანათა

სიარული. ამის შესახებ, გასულ წელს, თხოვნით მივმართეთ ასპინძის მუნიციპალიტეტს, რომ გაეთავისებინა ჩვენი საერთო სატკივარი და ქუჩა წესრიგში მოეყვანათ. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ლევან ცაბაძე დაგვიპირდა, რომ ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებდნენ უახლოეს მომავალში და ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებდნენ. მალე მართლაც წერტილი დაესვა ამ მხრივ ჩვენს პრობლემას — მიმდინარე წელს, აღრეული გაზაფხულიდან-

ვე, გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქუჩას, ხოლო ამ დღეებში მთლიანად მოასფალტდა დაბაში სიდიდით ერთ-ერთი გრძელი ქუჩა. ამან კი, ჩვენთან ერთად, განსაკუთრებით გაახარა ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრები პატარები, რომლებიც სუფთა, მოასფალტებულ და განათებულ ქუჩაზე, გვიანობამდე ერთობიან და თამაშობენ.

ყოველივე ამის გამო კიდევ ერთხელ დიდი მაღლობა გვინდა ვუთხრათ ასპინძის მუნიციპალიტეტის

შესაბამის სამსახურებს, პერსონალურად, გამგებელს, ბატონ ლევან ცაბაძეს, რომლის უშუალო მხარდაჭერით, ეს დიდი პრობლემა, რომელიც ათეული წლებია აწუხებდა აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლებს, მოგვარდა.

მ.ჯავახიშვილის ქუჩის მცხოვრებთა სახელით, დავით გიორგაძე, ირმა ადვიშვილი, დავით ქავთარაძე, თემურაზ კაველიძე, იოსებ შებაზაშვილი, გიორგი ბერიძე და სხვ.

რეკლამა

უკანასკნელი წლებია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას, რადგან სწორედ ჯანსაღ გარემოშია შესაძლებელი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა. ამაზე მეტყველებს საქართველოს მთავრობის, არასამთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და გარემოს დაცვის სამსახურების მიზანმიმართული მუშაობა. უფრო მეტიც, გამკაცრდა საჯარო სანაქციებიც, თუმცა ზოგიერთ მოქალაქეს როდი ადარდება ყოველივე ეს! მთავარია საკუთარი ოჯახიდან გამოიტანოს ნაგავი და სადაც მოესურვება, იქ გადააყაროს.



ჯერ გამხდარა საჭირო. თუმცა, ხშირად, მგლის თავზე სახარების ნაკითხვა გვიხდება, — როცა არად ვაგდებთ გაფრთხილებებს, თხოვნებს და ისევ ჰარიჭარად ვაბინძურებთ, ვანაგვიანებთ.

ნუთუ არ გიფიქრიათ ამაზე?!

აბა, ერთი ნუთით შევიხებდით ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში, თუ როგორ ვეძქვევით ამ ლამაზ კულტურის კერას. თითქმის ყველა სკამზე ვხედავთ ჩამომსხდარ ბავშვებს, მოზარ-

დებს, ახალგაზრდებს, ხანდაზმულ ადამიანებსაც, თუ როგორ აბინძურებენ მზესუმზირის ნარჩენებითა თუ გამოუყენებელი საგნებით იქაურობას. რა დღეში ჩავაგდეთ თვით სანაგვე ურნები?..

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა მდინარეების და ბინძურების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ დასუფთავების სამსახურმა თითქმის ყველგან დადგა ნაგვის ურნები, ზოგიერთ იქ მცხოვრებს, ათი მეტრის გავლაც კი ეზარება, რომ ნარჩენები სანაგვეში ჩაყაროს და ისევ შეჩვეული მეთოდებით, — მდინარის სანაპიროზე მოისვრიან ოჯახიდან გამოტანილ ნაგავს. ეს სურათიც მდინარე ოთის წყლის ერთ-ერთ ხიდთანაა გადაღებული, საიდანაც სანაგვე ურნა მხოლოდ ოციოდ მეტრშია. ამასთან, გულისტკივი-

ლით დავძენთ — კარგად დააკვირდით — რამდენი ბავშვი იგრილებს ზაფხულობით საკუთარ სხეულს ამ მდინარეში! რატომ ვნამღავთ მათ? ისინი ხომ ისევ თქვენი, ჩვენი შვილები, შვილიშვილები, ახლობლები არიან. ნუთუ არ გიფიქრიათ ამაზე?!

ძვირფასო ასპინძელებო, გვახსოვდეს, ასპინძა თითოეული ჩვენთაგანისაა, როგორც საკუთარ სახლში ვიცავთ, მოდით ისე დავიცვათ მთელ დაბასა თუ სოფლებში სისუფთავე. დაბინძურებული გარემო, როგორც ვთქვით, არა მარტო ჯანმრთელობას ვნებს, არამედ ჩვენს კულტურაზეც აისახება. განა ჩვენ კულტურული ხალხი არა ვართ? დავფიქრდეთ ამაზე!

ავთანდილ მახსი

წარსულის ფურცლები



წყაროს გახსნა ასპინძის ცენტრში. გასული საუკუნის 70-იანი წლები

ლილიის კუთხა

რა ღირს ცოდოში ცხვარი?

როგორც ყოველთვის, ნიალის საძოვრებზე, ზაფხულობით, თუში მეცხვარეები სეზონურად ცხვარს აბალახებენ, ცხვრის გადასარევი ტრასა კი სოფელ ტოლოშე გადის. რამდენიმე წლის წინ, ცხვრის ერთ-ერთი გადარეკვის დროს, სოფლის ახალგაზრდებმა მოინდომეს მწვადები და ცხვრის ფარის ვინრო გზის ავლისას, თუშ მეცხვარეებს ჭედოლა ასტაცეს, მაგრამ ცხვარს დროულად გამოუჩნდა პატრონი და მოტაცებული ცხვარიც უკან დაიბრუნა და სასამართლოშიც უჩივლა მათ. ახალგაზრდები სასამართლომ 2-2 ათასი ლარით დააჯარიმა, თანაც, პირობითი სასჯელიც ჩამოუხრია თითოეულს.

ერთ დღეს, ახლადგასამართლებულთაგან ერთ-ერთი, ტოლოშის ხიდზე, ასპინძის მიმართულებით, ტრანსპორტს ელოდებოდა. ამ დროს უცნობი პიროვნება მიუახლოვდა, შინაურულად გამოელაპარაკა და ცხვრის შესყიდვა სთხოვა (როგორც ცნობილია, ტოლოშელები ცხარს ნაკლებად ინახავენ) და თან იკითხა – რა თანხა დაუჯდებოდა.

„მწვადის მოყვარულმა“ ტოლოშელმა ახალგაზრდამ, არც კი დაახანა და უმალ უპასუხა: – სოფელში ცხვრის ყიდვა ორიათას ლარად შეგიძლიათ!

უცნობმა აღმაცერად გახედა ახალგაზრდას და შეეპასუხა: – რა ამბავია ორი ათასი ლარი, მაგ თანხით ხომ 10 ცხვარს შევიძინო. ტოლოშელმა ახალგაზრდამ კი პასუხი მაშინათვე დაუბრუნა: – რატომ გიკვირთ, მეგობარო, მე ერთი ცხვარი ამდენი დამიჯდა, პირობით სასჯელს თუ არ ჩავთვლითო.

ლიმითრი მაღრაძე

მაღალმთიან რეგიონებში იწყება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა

დასასწავლის გვ. 1,2

ლი დოკუმენტი.

პროგრამის მონაწილეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, იჯარით გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბი და საძოვარი შემდეგი პირობებით:

- იჯარის ვადა – 25 წელი.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბისა და საძოვრის იჯარის წლიური ღირებულება – იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველ და მეორე წელს 1 ჰა-ზე 1 ლარი, მესამე

და შემდგომ წლებში 1 ჰა-ზე – 15 ლარი

- იჯარის უფლების მესამე პირისთვის დათმობა/უფლებრივად დატვირთვა, ქვეიჯარით გაცემა დაუშვებელია.

- იჯარის საფასურის გადახდა შესაძლებელია 5 წელიწადში ერთხელ, რომელიც, როგორც სათიბის, ისე საძოვრის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიურ საწყის საფასურს.

კოოპერატივის, პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, ეკისრება სხვა და სხვა ანგარიშვალდებულებები სააგენტოს მიმართ. აგრეთვე კოოპერატივების მართვის სააგენტო თავის მხრივ მხარდაჭერას პირდება კოოპერატივის შემდგომი განვითარებისათვის.

ილღა ბერიძე-ველიჯანაშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მეორე დონის უფროსი-სპეციალისტი

ასპინძაში მარცვლეულის აღება დაიწყო

ივლისის თვის მესამე დაკადაში ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარცვლეულის აღება დაიწყო. ტრადიციულად ალოობა სოფ. რუსთავეში იწყება. დღეისათვის რუსთავეში აღებულია 50 ჰექტარი ქერის და 5 ჰექტარი ხორბლის ნათესები. ასევე მოსავლის აღება გრძელდება იდუმალის, ომორის, დამალისა და ასპინძის ტერიტორიებზე. საშუალო საჰექტარო

მოსავლიანობა ქერის შემთხვევაში 30, ხოლო ხორბლის – 35 ცენტნერია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ დათესილია 453 ჰექტარი ხორბლი და 485 ჰექტარი ქერი. სავარაუდოდ, მარცვლეულის საჰექტარო მოსავლიანობა 25-30 ცენტნერი იქნება, რომლის აღება-დაბინავებას სჭირდება დამატებითი ტექნიკა (კომბაინი), რადგან ამ ეტაპზე, აღნიშ-

ნულ სამუშაოებს მეზობელ მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი) კერძო მფლობელობაში არსებული ორი ერთეული კომბაინი ახორციელებს, აქედან გამომდინარე, საჭიროა, შპს „მექანიზატორმა“ უზრუნველყოს დამატებითი მინიმუმ ორი ერთეული კომბაინის შემოყვანა, რათა დროულად და უდანაკარგოდ მოხდეს მოსავლის აღება.

საკუთარი ინფორმაცია

ნახსუც დღეთა გახსენება

თათრების გაქცევები რომ იყო, ამ გაქცევებზე, ხიზაბავრაზე გადაიარეს. – ეგრე, 12 წლისა ვიყავი, – დედაჩემი იტყოდა. ერთი საბანი მქონდა და ერთი თუნგი მეჭირა ხელში, ცარელა თუნგი, ძლივს მივდიოდი, ეგრეო. ბიძაჩემებს გავჰყევი და წავედით ეგრე, დანარჩენები წავიდნენ ეგრე, – ბარალეთზე, ტაბანყურზე. გადმოიარეს ტაბანყური, პაპაჩემს მოჰქონდა ურმით პროდუქტი. მათ დახვდნენ თათრები და ეს პაპაჩემი და ბებიაჩემი დაკლეს, ჩაყარეს ტაბანყურის ტბაში, – წყალში. ეს ურემი წავიყვანეს და წავიდნენ. პროდუქტი ღამე წაიღეს. ველოდებით ჩვენც, რომ პროდუქტი მოგვივა, მაგრამ არც პროდუქტია, არც არაფერი. იქაც გაჩნდა ჭირი. მიცვალებულს მიცვალებულზე ვმარხავთო ამ თისელში და ბაკურიანში. აქ, როგორც იყო, ამოვედით, უკან მოვბრუნდითო. რომ მოვბრუნდითო, მოვედითო, მთელი ერთი სამი-ოთხი თვე აქ ვიყავით. სამი-ოთხი თვის მერე, როგორც იყო, მოვბრუნდით, მოვედითო. მოვედით ჩვენ კერაზეო. ამ თათრებს ზოგს იეოხრებინა, ზოგს გეფეფუჭებინა, ზოგს დეენგრაიო. ამოვედით მაინც, ავანყეთ ყველაფერი, ჩვენიო, ნელა-ნელა და ეს მამაჩემი უკვე დაქვრივებული კაცია. დედა აღარა გვყავსო. ბიძაჩემები დასანიშნები არიანო. ჰოდა, ჩვენ ვართ სამი გოგო და ერთი ძმაო. ეს სამი გოგო

და ერთი ძმა ვწევართო, მამაჩემთან ვართ სუყველაო. ღამე მოვიდა ვიღაცა, ერდოდან, ეკლესიის დარაჯი იყო, – პური იყო ეკლესიაში ჩაყრილი. ამ კაცს ჰაშიმას ეძახდნენ. ეს ჰაშიმაი მოვიდა, კოჭლი კაცი იყო და პაპაჩემი გააფრთხილა, რომ ადექი, ეგრემ, მოდიან, უნდა მოგკლანო. ეს პაპაჩემი რო დგებაო, ჩვენ დავეკიდეთო, ჩვენ ორს გვღვიძავსო. მე და მელანას გვღვიძავსო. მელანო ერქვა დედაჩემის ერთ დას, საბედაი მეორეს და ევაი – დედაჩემს. დავეკიდეთ აქედანო. დავეკიდეთო და, მოვიდა მეორე და... შე გიყოფო, მოდიან, ბიჭო, უნდა მოგკლანო, გააფრთხილე, გითხარი, უნდა მოგკლანო. ავდექით, როგორც იყო, ბანი იყო იქ ამოხრეული, საბძლი-სა. იმ საბძლიდან ჩავძვრით, ჩავედითო. ჩავედით, როგორც იყო. თივა იყო, ამ თივაში ჩავწექითო. მამაჩემი ამბობს, – არ გაინძრეთ, ხმა არ ამოიღოთ, არაფერი არ თქვათ, არ დაგვიანახონო. სახში დაგვრჩა და და ძმაო დაძინებულიო. დილაღე ვერ ამოვედითო. გამოვიდნენ ესენიო, მიიარ-მოიარეს, გაჩხრიკეს ეს სახლიო, სუყველაფერი დაიარესო, ვერ გვხახეს, მამაჩემი ვერ ნახესო. ახალი გაფრთხილებულიაო, ვინ დაგვაბეზლაო, ის გიყოფო, ახალი გასულიაო, ლოგინი თბილიაო, ნეტა ვინ გავყვიდაო. ადგენო და ზამთარიო, მთავარიანი ღამეა და ხრამა-ხრამით წავიდნენო. მამაჩემს

ჰქონდა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ვერცხლის ტაბიკები, კამეჩებისაო. ესენი წაეღოთო, ეს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ტაბიკები რამე წაეღოთო, წასულიყვენო. მერე დილით ამოვედით, რომეო, გოგო, მისულაო, ბუხართან დასძინებიაო, კერა თბილი იყო და ეს ბიჭი კარებთან მისულაო, უტირიაო და ამ თავის ტირილში, ცრემლში ჩასძინებიაო. პირით ჩაყინულა. მერე ავიყვანეთო. გოგო გადარჩა, კარგად იყო. ბიჭი ვერ გადავარჩინეთ, მოკვდაო, გაცივდაო.. და ამა იმამო, დავრჩით სამნი დანიო. ამ სამ დასაო, მამაჩემი გვყავდა პატრონი და მეტი არავინაო. მერე კი დაინიშნენ ბიძაჩემებიო. ერთს ჰყავდა დადემული ქალი, სალომე ერქვა. მეორეს, ბიძაჩემსაო, სომეხი ქალი ჰყავდაო, ალასტენელი. და ის რომ ვთქვი, აი იმან იცოდა და მოიყვანა ის ხალხი და ალასტანში წაიყვანა და წავიდა. დედაჩემის ბიძა იყო ის კაცი. მაგრამ ძალიან ძლიერი კაცი იყო, საბაი ერქვა, დელი საბას ეძახდნენ, გიჟი საბაიო. იმისი შვილებია ეხლა, არც ერთი არ ჰგვანან, ხერთვისში არიან. ბაგრატა დავლაშერიძე, მაგის შვილები მანდ იყვნენ. კიდევ, მარგოი. მარგო იყო დავლაშერიძე, იმას და ჰყავდა, პარუში ერქვა. წაიყვანა ეს საბას გოგო და წავიდა. წარმოიდგინე, 12-13-14 სულიდან 6 სული დავბრუნდით, 6 სული მოვედითო. აი ამ დღეში ვიყავითო. საწყალი დედა-

ჩემი იტყოდა ხოლმე, ისე ვიყავი გატანჯული, გავიზარდეთ, მაგრამ ჩემ დღეში არ მინახია სიკეთე არაფერიო. 17 ძროხა გვყავდაო, მაგრამ სხვისი ტანსაცმელი მეცვაო. მოვიდნენო, გამხადესო ქორწილზე, მამაჩემმა რომ წამომიყვანაო, სამი დღე მეცვა, სამი დღის მერე გამხადეს, წავიდნენ, დავრჩი ტიტველაო. აი ამხელა საქონლის პატრონები იყვნენ და არ ჰქონდათ ქონებაო, არ ჰქონდათ ცხოვრებაო, ვერ იძენდნენო, მოხმარება არ იცოდნენო. აი ესეთ დღეში ვიყავით, გაჭირვებით და იმით გავიზარდეთ და მოვედით ამ დონემდეო. დედაჩემი იტყოდა ხოლმეო, ახლა ვარ ბედნიერი. ნისქელი არ იცოდა დედაჩემმა, სითკენ ბრუნავდა, არ იცოდა შუშა სიდან მოდიოდა, არ იცოდა წყალი სიდან მოდიოდა. ისეთი მამა მყავდა მე, 40 დღე გარეთ არ გაუშვებდა დედაჩემს, 40 დღის მერე ეტყოდა, – ეხლა შეგიძლია გახვიდე გარეთო, მელოგინე ქალი ხარ, შენ 40 დღე არ გახვალაო. მოამარაგებდა წყალს, ყველაფერს, რომ დილით კაცებს არ დეენახათ.

მთხრობელი შუშანა დავლაშერიძე-მამოშვილისა, 82 წლის, დაბა ასპინძა. ჩაინერა აპრილში 2017 წელს

რედკოლეგია